
AI
მომავლის განათლება ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში:
შესაძლებლობები,
გამოწვევები და გზა თანაარსებობისკენ"
პრეზენტატორი:
თბილისის N106
საჯარო სკოლის VIII
კლასის მოსწავლე
მარიამ ჯაჯანიძე

# გეგმა



- ✓ ხელოვნური ინტელექტის როლი განათლების
- ✓ ცვლილებაში
- ✓ განათლების შესაძლებლობები ხელოვნური
- ✓ ინტელექტის ეპოქაში
- ✓ განათლების სისტემის წინაშე არსებული გამოწვევე

- ✓ თანაარსებობა AI-სთან: ტექნოლოგია როგორც პარტნიორი და არა კონკურენტი

- ✓ მომავლის გზავნილი ახალგაზრდებისთვის

# მიზანი



- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება AI-ის დადებითი და უარყოფითი გავლენის შესახებ განათლებაში
- ახალგაზრდების წახალისება, რომ თავად გახდნენ მომავლის განათლების აქტიური შემქმნელები
- თანაბარი წვდომის საკითხის წამოწევა — განათლება ყველასთვის და AI-ის ჩართულობით
- კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების გაძლიერება როგორც AI-ის ეპოქაში ადამიანის უნიკალურობის საფუძველი



# მომავლის განათლება ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში

**ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, რომელიც ტექნოლოგიური პროგრესით განისაზღვრება.**



**ხელოვნური ინტელექტი (AI) აღარ არის მხოლოდ ფილმებიდან და სამეცნიერო ფანტასტიკიდან გადმოსული წარმოსახვა — ის უკვე ჩვენს გვერდითაა: ტელეფონში, კომპიუტერში, სასწავლო აპლიკაციებში და ყოველდღიურ ცხოვრებაში.**

# შესაძლებლობები — განათლების ახალი ჰორიზონტები

დღეს გესაუბრებით სამ მთავარ საკითხზე: რა შესაძლებლობებს გვთავაზობს ხელოვნური ინტელექტი განათლებაში, რა გამოწვევებს ვაწყდებით ამ ტექნოლოგიებთან ურთიერთობისას და როგორ ვიპოვოთ გზა თანაარსებობისკენ, ანუ როგორ ვიყოთ თანასწორი პარტნიორები ამ ციფრულ ეპოქაში






ინდივიდუალური სწავლება

განათლების ახალი ჰორიზონტები

ვირტუალური ლაბორატორიები

ინტერაქტიული სწავლა



# შესაძლებლობები — განათლების ახალი ჰორიზონტები

## ინდივიდუალური სწავლება

სისტემა ეგუება კონკრეტულად მოსწავლის სიძლიერისა და სისუსტეების მიხედვით

## ინტერაქტიული სწავლა

თამაშზე დაფუძნებული სწავლა, რაც უფრო სახალისოს და მარტივს ხდის სასწავლო პროცესს

## ვირტუალური ლაბორატორიები

შესაძლებელია ფიზიკური ექსპერიმენტების ციფრულად ჩატარება




ხელოვნური ინტელექტი საგრძნობლად აფართოებს განათლების მიღების გზებს. დღეს მოსწავლეს შეუძლია ისწავლოს სხვადასხვა თემებზე სხვადასხვა ენაზე — თუნდაც საკუთარ ოთახში, კომპიუტერთან ან მობილურთან მჯდომმა. ChatGPT-ის მსგავსი პლატფორმები სწრაფად პასუხობენ კითხვებზე, ხსნიან რთულ თემებს და ეხმარებიან დავალებების შესრულებაში.

სწავლის ეს ახალი ფორმები მოსწავლეებისთვის უფრო დამაინტრიგებელი და თანამედროვეა. ამას უკვე აღარ ჰქვია მხოლოდ წიგნის გადაშლა — ეს არის ცოცხალი ურთიერთობა ცოდნასთან.

# გამოწვევები — რას უნდა ვუფრთხილდეთ



**დამოუკიდებელი აზროვნება**

გადაჭარბებული დამოკიდებულება ტექნოლოგიებზე

**ინფორმაციის სანდოობა**

AI ზოგჯერ ცდება ან არასწორ ინფორმაციას იძლევა

**ემოციური და სოციალური განვითარება**

**სკოლა არის ურთიერთობა, მეგობრობა, გუნდური მუშაობა**

**ხელმისაწვდომობა**

უთანასწორობა ტექნიკისა და ინტერნეტის წვდომაში

**ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობებთან ერთად მოდიან სერიოზული გამოწვევებიც. თუ ყველაფერს AI გააკე მოსწავლის ნაცვლად, მაშინ ნელ-ნელა დაიკარგება დამოუკიდებელი აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის უნარ**

**ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლემ შეძლოს განსხვავება: როდის უნდა ენდოს ტექნოლოგიას და როდის — არა.**
**საქართველოში ბევრ რეგიონში ჯერ კიდევ არ არის ტექნიკა და ინტერნეტი ყველასთვის ხელმისაწვდომი,**
**რაც ქმნის უთანასწორობას მომავლის განათლებაში.**

# თანაარსებობა — გზა მომავლისკენ

## მასწავლებლის როლი

AI ვერ ჩაანაცვლებს მასწავლებელს

## ადამიანი მმართველად

AI როგორც შთამაგონებელი, არა შემცვლელი



## კრიტიკული აზროვნება

აქტიური და ეთიკურად მოაზროვნე მოქალაქეები

## ემპათია

ხელოვნურ ინტელექტს არ ექნება სული

**მთავარი კითხვა ალბათ ასე ჟღერს: „გადაანაცვლებს თუ არა ხელოვნური ინტელექტი მასწავლებელს?" პასუხია — არა. AI არის ინსტრუმენტი, რომელიც უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა და მოსწავლემ ერთობლივად, როგორც მხარდამჭერი, როგორც დამხმარე, მაგრამ არა როგორც ჩასანაცვლებელი.**

**მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ, როგორ იყვნენ აქტიური, კრიტიკულად მოაზროვნე, ცნობისმოყვარე და ეთიკურად მოაზროვნე მოქალაქეები ციფრულ სამყაროში. თანაარსებობა ნიშნავს — რომ ადამიანი და ხელოვნური ინტელექტი ერთიანდებიან, მაგრამ ადამიანი რჩება მმართველად.**

# კვლევა:







**კითხვა:** „შეგიძლია წარმოიდგინო, რომ მომავალში მასწავლებელი იქნას ჩანაცვლებული AI-ით?“
**პასუხი:**
„არა მგონია! კომპიუტერი ვერ გამიგებს ისე, როგორც ნამდვილი ადამიანი. მასწავლებელი სჯობს.“

**დასკვნა**: მოსწავლეები ხედავენ AI-ს როგორც სასარგებლო ინსტრუმენტს, მაგრამ შიშობენ მის ჭარბ გამოყენებას
მათთვის მნიშვნელოვანია მასწავლებლის როლი და ადამიანური ურთიერთობა

# დასკვნა

**შანსი**

განათლება **AI**-ის ეპოქაში არის შესაძლებლობა, არა საფრთხე

**არქიტექტორები**

მოსწავლეები როგორც მომავლის შემქმნელები

**ციფრული ეთიკა**

უნარები, რასაც ვერ გასწავლის არცერთი ალგორითმი



განათლება ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში არ არის საფრთხე, ეს არის შანსი — თუ სწორად გამოვიყენებთ. ჩვენ, მოსწავლეებს შეგვიძლია ვიყოთ მომავლის არქიტექტორები, თუ გვეცოდინება როგორ ვმართოთ ციფრული სამყაროს ძალები გონივრულად.

მომავლის სკოლა უნდა იყოს ისეთი ადგილი, სადაც ტექნოლოგია და ადამიანი ერთობლივად ქმნიან ღირებულებას — **ცოდნას, კეთილშობილებას და ჰუმანურობას. მოსწავლეებს მოუწევთ სწავლა არა მარტო ფაქტების, არამედ თანამგრძნობი აზროვნების, ციფრული ეთიკის და ზუსტად იმ უნარების, რასაც ვერ გასწავლის არცერთი ალგორითმი**